



**განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი**

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა.ა.ი.პ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)

ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს

სოფელ საიმერლოს საბავშვო ბაღი



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: **მაკა ტუკვაძე**

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: **ნინო დემურაძე**

კვების დარგში ექსპერტი: **ბესიკ მარგველაშვილი**

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: **ნათია ზაზაშვილი**

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	ააიპ
საფირმო სახელწოდება	ა.ა.ი.პ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)
საიდენტიფიკაციო ნომერი	234233344
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს სოფელ საიმერლოს საბავშვო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე	



<i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	მარნეულის მუნიციპალიტეტი, ქ. მარნეული, რუსთაველის ქ., N 73
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფელი საიმერლო
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) <input checked="" type="checkbox"/>	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) <input type="checkbox"/>
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი <i>(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)</i>	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება- MES 0 26 0000373239 30/03/2026
ვიზიტის პერიოდი <i>(თარიღი)</i>	22 და 23 აპრილი
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	



წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ზავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ზავშვების რაოდენობა

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ					
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული <i>“ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი”</i> -ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.					
N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ზავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“	ქართული		120
					ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება <input checked="" type="checkbox"/> არ ეთანხმება <input type="checkbox"/>

¹ ასახოს მხოლოდ პროგრამა/პროგრამები, რომელც მიითვლება დაწესებულების სტატუსის მაძიებელს თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დემატუს ველები.



7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მამიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

2026 წლის 22 და 23 აპრილს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება-MES 0 26 0000373239 30/03/2026 -ის საფუძველზე, ა.ა.ი.პ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს სოფელ ალგეთის საბავშვო ბაღში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

1. მაკა ტუკვაძე-ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე)
2. ნინო დემურაძე-კურიკულუმის ექსპერტი:
3. ბესიკ მარგვალაშვილი-კვების დარგში ექსპერტი:
4. ნათია ზაზაშვილი-სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებშიც ექსპერტებმა საკუთარი მიმართულებების მიხედვით იმუშავეს დასკვნის მომზადებისთვის საჭირო ინფორმაციის შესაგროვებლად. ვიზიტის განმვალობაში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციალა ყველა ის აქტივობა, რაც გაწერილი იყო წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით. ჩატარდა დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუები შესაბამისი წესების დაცვით და მათი მხრიდან იყო მიმღებლობა და ხელშეწყობა ვიზიტის სრულფასოვნად განსახორციელებლად.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მამიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა შეფასებით, ბაღის საუკეთესო და გასაზიარებელ პრაქტიკას წარმოადგენს, საიმერლოს საბავშვო ბაღის მთელი პერსონალის შეთანხმებული და გუნდური მუშაობა, რაც განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა საგანმანათლებლო პერსონალის მიერ შექმნილ დოკუმენტაციაში. კერძოდ, კურიკულუმის განვითარებისთვის მომზადებულ ინსტრუმენტებში: გრძელვადიანი გეგმა, შიდა მონიტორინგისთვის



შექმნილი კითხვარები, საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიური ჩანაწერები, თვითშეფასების ფორმა კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესის შეფასება, დაკვირვების ჩანაწერები, პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრების გეგმა, ხარისხის სტანდარტის მიმართულებების ანალიზი ბაღთან მიმართებაში, ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მხარდაჭერისთვის დაგეგმილი აქტივობები და შემდეგ პროცესის შეფასება, კითხვარი ოჯახისთვის ბაღთან თანამშრომლობისთვის მიმართებაში, ასევე მშობლებისთვის უკუკავშირის კითხვარი, ტრანზიციის გეგმა სახლიდან ბაღში და ბაღიდან სკოლაში.

მნიშვნელოვანია ბაღის თანამშრომლებისა და მშობლების ერთობლივი მცდელობა გააუმჯობესონ ბაღის ეზოს იმფრასტრუქტურა. ამ მიზნით მონაწილეობა მიიღეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში. მოიპოვეს დაფინანსება (ბიუჯეტი შეადგენს 20000 ლარის), აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდება ბაღის ეზოს კეთილმოწყობა კურიკულუმის შესაბამისად.

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)



.....

.....

.....

.....

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა²

პროგრამის სახე-
„სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა“;

კურიკულუმის დასახელება-
ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (მეთოდური სახელმძღვანელო 2- დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის) და „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“

2. კურიკულუმი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.3. მატერიალური რესურსი	<input type="checkbox"/> შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება



	<input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი



1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი), **საიმერლოს საბავშვო ბაღმა** (შემდგომში ბაღი) წარმოადგინა მისია, რომელიც წარმოდგენილია ცალკე დოკუმენტის სახით. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის №13.3225365001-1 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად მისია არ მტკიცდება.

დაწესებულების მისია ჟღერს შემდეგნაირად: ბავშვთა სკოლამდელი განვითარებისთვის ხელშემწყობი და მეგობრული გარემოს შექმნა, ბავშვების უნიკალური შესაძლებლობების და საჭიროებების გამოვლენა, ბავშვის კეთილდღეობაზე, ჰარმონიულ და მრავალმხრივ განვითარებაზე ზრუნვა. შექმნას ინკლუზიური საგანმანათლებლო სივრცე, სადაც არაქართულენოვანი ბავშვები მიიღებენ ბილინგვურ მხარდაჭერას და შეძლებენ ქართულ საგანმანათლებლო გარემოში სრულფასოვან ჩართვას.

წარმოდგენილი მისიით დაწესებულება ეხმიანება ბავშვთა საუკეთესო ინტერესებს და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს, რამდენადაც მიზნად ისახავს იზრუნოს ბავშვების უნიკალური შესაძლებლობების, საჭიროებების გამოვლენაზე და კეთილდღეობაზე. დაწესებულება რეგიონიდან გამომდინარე აქცენტს აკეთებს ინკლუზიური საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებაზე, სადაც არაქართულენოვანი ბავშვები მიიღებენ ბილინგვურ მხარდაჭერას და შეძლებენ ქართულ საგანმანათლებლო გარემოში სრულფასოვან ჩართვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა მისიასთან ერთად წარმოადგინა ხედვა და ღირებულებები.

ხედვა არის შემდეგი:

- ✓ სკოლამდელი განათლების სფეროში თანამედროვე მიდგომების გამოყენებით საუკეთესო პრაქტიკის ინიცირება.
- ✓ სკოლამდელი განათლების სფეროში ცოდნის გაღრმავება, გამოცდილების გაზიარება და ღირებულებებზე დაფუძნებული სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნა .
- ✓ სკოლამდელი აღზრდის საყოველთაობა, ინდივიდუალური მიდგომა, ზრუნვა როგორც ბავშვების, ასევე დაწესებულების თანამშრომელთა ფიზიკურ კეთილდღეობაზე; მშობლების და ბალის პერსონალის თანამშრომლობა.
- ✓ სკოლამდელი განათლების სივრცე გახდეს ინკლუზიური და მრავალკულტურული საგანმანათლებლო სივრცე, სადაც არაქართულენოვანი და ქართულენოვანი ბავშვები თანაბარ პირობებში ვითარდებიან, ბილინგვური სწავლების გზით ეუფლებიან კომუნიკაციის, ურთიერთპატივისცემისა და თანაცხოვრების უნარებს.
- ✓ აღმზრდელ-პედაგოგის დამოუკიდებლობა, აღმზრდელ-პედაგოგის დამოუკიდებლობისათვის შესაბამისი ხელშეწყობა.
- ✓ ბავშვზე ორიენტირებული სწავლების პრაქტიკის დანერგვა - სკოლამდელ დაწესებულებებში სწავლების ისეთი მიდგომების დანერგვა, რომელიც იძლევა საშუალებას ბავშვმა თამაშით აღმოაჩინოს და შეიცნოს გარემო.
- ✓ სკოლამდელი აღზრდის პროცესში ადრეულ ასაკში სწავლების და განვითარების სტანდარტების გათვალისწინება, ბავშვის მიღწევების შეფასება, ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და ამ მიზნით შესაბამისი სასწავლო სააღმზრდელო და სპეციალური მეთოდების გამოყენება.



- ✓ თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა, განხორციელება- ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო სააღმზრდელო პროცესის წარმართვა, ეფექტური და მოქნილი კურიკულუმის განხორციელება.
- ✓ საბავშვო ბაღებში ხარისხიანი ინკლუზიური განათლებით უზრუნველყოფა- თითოეული ბავშვის თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა განურჩევლად მისი შესაძლებლობისა საჭიროებებისა;
- ✓ აღმზრდელ პედაგოგების პროფესიული განვითარება- ზრუნვა და ხელშეწყობა აღმზრდელ პედაგოგების პროფესიული უნარების განვითარებაზე.

მისია და ხედვასთან ერთად განსაზღვრულია ღირებულებები, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად:

- ✓ თანასწორუფლებიანობა
- ✓ გუნდურობა
- ✓ გამჭვირვალობა
- ✓ თანამშრომლობა
- ✓ ბავშვის ინტერესების დაცვა
- ✓ უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვა

ბაღის ხედვისა და ღირებულების შესწავლის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ღირებულებებით განსაზღვრულია სამუშაო პრინციპები და წარმოდგენას გვიქმნის დაწესებულების ორგანიზაციული კულტურაზე, რომელიც დაწესებულებას დაეხმარება მისი მიღწევაში. რაც შეეხება ხედვას, თანხვედრაშია მისიასთან, აღწერს დაწესებულების მისწრაფებებს. პუნქტობრივად გაწერილი სასურველი მისწრაფებები თვისი ფორმით შესასრულებელ ამოცანებს და მიზნებს უფრო გავს და ვიდრე ხედვის არსებით მახასიათებლებს. კერძოდ, როგორცაა გაზომვადობა, რომელიც დაწესებულებას აძლევს ზუსტ მიმართულებას სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია ხედვის უკეთ ფორმულირებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს- ხედვა არის მოკლე განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს და ასახავს ორგანიზაციის წარმოდგენაში დანახული სასურველი, იდეალური მომავლის სურათს

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის №13.3225365001-1 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ განსაზღვრავს მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესის საკვანძო პრინციპებს. კერძოდ, თანამონაწილეობას, რაც თავის მხრივ გულისხმობს, პროცესების განხორციელებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და პროცესების წარმართვას სამუშაო ჯგუფის ფორმატში. მეთოდოლოგიური დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას.

ბაღმა მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების მიზნით წარმოდგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 დეკემბრის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, თუმცა აღნიშნული მტკიცებულება ეხება სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რასაც ამყარებს მტკიცებულებად მოწოდებული სამუშაო ჯგუფის სხდომის N1 ოქმის შინაარსი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმები შემუშავდა მისია, ხედვა ღირებულებების საფუძველზე და იგი წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემადგენელ ნაწილს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებამ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად ვერ წარმოადგინა მისია, ხედვა ღირებულებების შემუშავების მტკიცებულება, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებულ პირებს და მათ ჩართულობას პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

ბაღმა „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად წარმოადგინოს მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების მტკიცებულებები, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებულ პირებს და მათ ჩართულობას პროცესში.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (სტრატეგიული სამუშაო ჯგუფის მოწვევა; მისია ხედვა და ღირებულებების გადახედვა/შეთანხმება; შეხვედრის დაოქმება; დირექტორთან წარდგენა), პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების უფროსი, გაერთიანების მეთოდისტი), საჭირო რესურსი (ადამიანური) და ხარვეზის გამოსწორების პერიოდის (4 თვე). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის №13.3225365001-1ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ განსაზღვრავს მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების ეტაპებს, მათ შორის, სამუშაო ჯგუფის მიერ, შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებების პროექტის გაზიარებას დაინტერესებული მხარეებისთვის და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმებს. ბაღის პერსონალთან ინტერვიუთი დგინდება, რომ მათ იციან დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები და იცინ სად არის განთავსებული. მტკიცებულებად წარმოდგენილია ბაღის პერსონალის საერთო კრების ოქმი N3. მისია, ხედვა, ღირებულებების საჯაროობა დასტურდება ბაღის შენობის ვიზუალური დათვალიერებით, სადაც თვალსაჩინო ადგილზე, საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

მიზანშეწონილია, საერთო კრების ოქმი N3-სი ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზი მისია, ხედვა , ღირებულებებთან მიმართებით, რამდენადაც ფიქსირდება ჩანაწერი „დამტკიცებული მისია, ხედვა ღირებულებების გაცნობა“. მეთოდოლოგიის შესაბამისად მისია, ხედვა, ღირებულებები არ მტკიცდება და არც არის დამტკიცებული.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისია, ხედვა და ღირებულებების დოკუმენტი
2. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის №13.3225365001-1 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“
3. მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარების ფოტომასალა
4. ინტერვიუს შედეგები
5. ბაღის შენობის ვიზუალური დათვალიერების შედეგები
6. საიმერლოს საბავშვო ბაღის პერსონალის საერთო კრების ოქმი N3

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოდგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის №13.3225365001-1 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც არის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. მეთოდოლოგიური დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ასევე განსაზღვრავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

მეთოდოლოგიური დოკუმენტი აღწერს მონიტორინგის და შეფასების პროცესის არსს, პროცესის განხორციელების პერიოდულობას- სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (3 წელს) და ბოლოს. ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი წელიწადში ერთჯერ, ხოლო შეფასება წლიურად. ასევე განსაზღვრავს, პროცესის განმახორციელებლებს- სამუშაო ჯგუფის სახით, პროცესის შედეგების დოკუმენტირების ფორმას-ანგარიშების წარდგენით და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმებს. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-7 მუხლი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული დაინტერესებული პირების ჩამონათვალს. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოდგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბრძანება №13. 32260443, სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ.

სტრატეგიული გეგმა გათვლილია 2026-2031წლებზე. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სიტუაციური ანალიზს, მისია, ხედვა ღირებულებებს, დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზს, სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს. სტატუსის მაძიებელმა სტრატეგიულ გეგმის შემუშავების მტკიცებულებად წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და სხდომის N1 ოქმი.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს 5 სტრატეგიულ მიზანს და მიზნების შესაბამისი ამოცანებს. სტრატეგიული მიზნებია:

- ✓ საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურისა და ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება
- ✓ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება
- ✓ საგანმანათლებლო პროცესში ოჯახისა და თემის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა
- ✓ ინკლუზიური განათლების დანერგვა
- ✓ სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერის გაძლიერება.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება არანაკლებ 6 წელიწადში ერთხელ, აღნიშნული მიუთითებს დაგეგმვის პროცესის ციკლურობაზე. სტრატეგიული მიზნები შესაბამისობაშია დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებებთან. კერძოდ, სტრატეგიული მიზანი-საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურისა და ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება და შესაბამისი ამოცანა, სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისი ახალი 7 ბაღის აშენება პასუხობს დაწესებულების ხედვას, სკოლამდელი აღზრდის საყოველთაობა, ინდივიდუალური მიდგომა, ზრუნვა როგორც ბავშვების, ასევე დაწესებულების თანამშრომელთა ფიზიკურ კეთილდღეობაზე; ინკლუზიური განათლების დანერგვა-მისიაში მკაფიოდაა ხაზგასმული, რომ დაწესებულების მიზანია შექმნას ინკლუზიური საგანმანათლებლო სივრცე, სადაც არაქართულენოვანი ბავშვები მიიღებენ ბილინგვურ მხარდაჭერას და შეძლებენ ქართულ საგანმანათლებლო გარემოში სრულფასოვან ჩართვას.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება -მისიის და ხედვის მთავარი არსია, ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო სააღმზრდელო პროცესის წარმართვა, ეფექტური და მოქნილი კურიკულუმის განხორციელება.

მისიით დეკლარირებული მიზნების შესრულებისთვის დაწესებულებამ განსაზღვრა ფუნდამენტური სამუშაო პრონციპები, რომლებიც ღირებულებების სახითაა ჩამოყალიბებული: თანასწორუფლებიანობა, გუნდურობა, გამჭვირვალობა, თანამშრომლობა, ბავშვის ინტერესების დაცვა, უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების სტრატეგიული გეგმა არის ექვსწლიანი, ციკლური, სტრატეგიული მიზნები პასუხობს დაწესებულების მიერ დეკლარირებულ მისიას, ხედვას, ღირებულებებს და მოიცავს სტრატეგიული მიზნების შესაბამის ამოცანებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 14 თებერვლის ბრძანება ბ13. 3226045001, სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. სამოქმედო გეგმა, მეთოდოლოგიის შესაბამისად გათვლილია ერთ სასწავლო წელზე(2026-2027) და ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას, რამდენადაც მოიცავს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმა მოქმედებს ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანებაში (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) შემავალი ყველა ბაღისთვის, მათ შორის **საიმერლოს საბავშვო ბაღისთვის**, რომლისთვისაც განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები.

სტრატეგიულ გეგმაში აღწერილია დაწესებულების სიტუაციურ ანალიზი, რომელზეც დაყრდნობით შემუშავდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა. ასევე, „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ განსაზღვრავს სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვით, სტრატეგიული გეგმიდან და დაწესებულების ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა, რაც მიუთითებს, დაწესებულების ვალდებულებაზე, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოამზადოს თვითშეფასება. ბაღმა სამოქმედო გეგმაზე მუშაობის მტკიცებულებად წარმოადგინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებზე სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, სამუშაო ჯგუფის N1 სხდომის ოქმი და ფოტომასალა. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....



4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 14 თებერვლის ბ13. 3226045001-ით დამტკიცებული 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს, სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და აქტივობებს. სამოქმედო გეგმის სტრუქტურა ასვე მოიცავს შესრულების გაზომვად ინდიკატორებს, რამდენადაც ინდიკატორის საშუალებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების შედეგების პროგრესის შეფასება რაოდენობრივ და თვისობრივ ჭრილში. დაგეგმილი აქტივობების შესრულების რეალისტურ ვადებს, რადგან გაწერლია კონკრეტულ თვეებსა და პერიოდზე. ამოცანების/აქტივობების შესრულებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები, მათი ფუნქციები პოზიციის შესაბამისია. დადგენილი ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამოდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის №13.3225365001-1 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, აღწერს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების პროცესის განხორციელების პერიოდულობას, სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (3 წელს) და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი წელიწადში ერთჯერ, ხოლო შეფასება წლიურად. რამდენადაც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შემუშავებულია 2026 წლის დასაწყისში. მონიტორინგის და შეფასების პროცესი ჯერ არ დამდგარა. დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებით, დაწესებულება იღებს ვალდებულებას სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს დადგენილი წესების შესაბამისად. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

რეკომენდაცია

ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის №13.3225365001-1 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმებს, კერძოდ, მონიტორინგის და შეფასების

შედეგებზე დაყრდნობით მომზადებული ანგარიშები განთავსდება დაწესებულების FACEBOOK-ზე ასევე შესაძლებელია გაზიარდეს ელ. ფოსტის და ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით. გავრცელდეს ბეჭვდური მასალების(ფლაიერები, ბანერები) სახით ან გაჭლერდეს საჯარო ღონისძიებებზე. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით შეფასების შედეგებს დაწესებულება გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის. რამდენადაც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების პროცესის დრო ჯერ არ დამდგარა, შედეგებიც ვერ იქნება საჯარო. **აღნიშნულიდან გამომდინარე,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის №13.3225365001-1 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“
2. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბრ.- ბ13. 32260443, სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ.
3. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 14 თებერვლის ბრ ბ13. 3226045001, სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.
4. 2026-2031 წ. სტრატეგიული გეგმა
5. 2026-2027 წწ სამოქმედო გეგმა
6. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის №13.3225365001-2 ბრძანება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემმუშავებელის სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ.



- 7. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1
- 8. სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველი ფოტომასალა

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

2. კურიკულუმი³

პროგრამის სახე-„სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა“

კურიკულუმის დასახელება - ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (მეთოდური სახელმძღვანელო 2- დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის) და „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

³მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველ ველ ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალკადაც.

ბაღმა წარმოადგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13/02/2026 წლის №13.32260445 ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნული ბრძანების მიხედვით დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“. დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმძღვანელოები: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ ნაწილი პირველი მეთოდური სახელმძღვანელო 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და ნაწილი მეორე პრაქტიკული სახელმძღვანელო /სცენარები 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში აღმზრდელის სახელმძღვანელო“; „სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში აქტივობათა კრებული -პირველი და მეორე ნაწილი. დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 30.12.2025 წლის №13.3225365001-3 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი. დოკუმენტში განსაზღვრულია კურიკულუმის შერჩევის და შეფასების სამუშაო ჯგუფი.

წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ კურიკულუმები: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“, რომლითაც ხელმძღვანელობს დაწესებულება წინასწარ არის შერჩეული. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღს აქვს შერჩეული კურიკულუმები: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“, რომლითაც ხელმძღვანელობს. დაწესებულება ხელს უწყობს ადრეული და

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას. „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებს, კერძოდ ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს. „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ ხელს უწყობს ბავშვის ჰოლისტიურ განვითარებას. იგი მოიცავს სამ დოკუმენტს: „აღმზრდელის სახელმძღვანელო (გზამკვლევი); „აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი“ და „სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღი პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის“ და „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“. თამაში შერჩეული კურიკულუმის განხორციელების უმთავრესი საშუალებაა. იგი ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, ბავშვებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ აქტივობა, იპოვონ გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით; კურიკულუმი აძლევს ბავშვებს ექსპერიმენტირების, დაკვირვებისა და კვლევა-აღმოჩენების გზით მიიღონ ცოდნა, აღმზრდელი თამაშის პროცესში მოქმედებს როგორც პარტნიორი და დამკვირვებელი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ინიციატივას და თამაშის ეტაპების განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



.....
.....
რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღი პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის” და „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“. შერჩეული კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - საადმინისტრაციო პროცესში ოჯახებთან თანამშრომლობას ინფორმაციის გაზიარების მიზნით, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებას. კურიკულუმი ითვალისწინებს თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: თემში არსებული რესურსის ათვისებით საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნებისათვის, აგრეთვე თემის წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველყოფას თანამშრომლობითი ღონისძიებების ორგანიზების პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

.....
.....
რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღში არსებობს ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13/02/2026 წლის №13.32260445 ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ. ბრძანების მიხედვით დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ კურიკულუმები ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს. რასაც მოწმობს „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაშის“ ღირებულება-„მრავალფეროვანი გამოცდილება სწავლისა და განვითარების პირობაა“. სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ მრავალფეროვან საქმიანობებს ითვალისწინებს ეფექტური განრიგით, ყოველდღიური საქმიანობებით და პროცესებით. კურიკულუმები ითვალისწინებს ბავშვის ასაკს, განვითარების დონეს, საჭიროებებს და ინტერესებს, პიროვნულ თავისებურებებს, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

.....
.....
რეკომენდაცია
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღი სააღმზრდელო პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს ადრეული განათლების კურიკულუმებით: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში.დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან რაც დასტურდება. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბავშვების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბავშვებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 30.12.2025 წლის №13.3225365001-3 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის (მუხლი 3) შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეებთან განსაზღვრულნი არიან:

დაწესებულების პერსონალი, მშობლები და თემი/მუნიციპალიტეტი.

კურიკულუმის გაზიარების მიზნით, დაწესებულება იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესით“ გათვალისწინებულ შემდეგ არხებს:პირისპირ შეხვედრები,საინფორმაციო დაფა,მოკლე ტექსტური შეტყობინებები,სოციალური მედიის დახურული ჯგუფები,დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით,წინადადებების ყუთი.

ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ კურიკულუმი გაზიარებულია პერსონალთან, მშობლებთან და თემთან. მენეჯერი, მეთოდისტი, აღმზრდელები, თანაშემწეები,ლოგოპედი და მუსიკის მასწავლებლები გასაუბრებისას ადასტურებენ, რომ კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელმა ჯგუფმა მათ სრულად გააცნო პროგრამა.(ოქმი 05.02.2026წ). მშობლებთან და თემთან კომუნიკაციის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ფოტომასალა და მშობელთა საერთო კრების ოქმი .

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება N 13.32260445 თარიღი: 13/02/2026 ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების კურიკულუმის დამტკიცების შესახებ
2. ადრეული განათლების კურიკულუმები თამაში - (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის); „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში.“
3. კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგული წესი;
4. ბრძანება N 13.3225365001-3 თარიღი: 30/12/2025 ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების ბრძანება კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგული წესის შესახებ;
5. ბრძანება N 13.322604410 თარიღი: 13/02/2026 ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.
6. ბრძანება N 13.322604415 თარიღი: 13/02/2026 ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ.
7. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი;

შეფასება :			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღში არსებობს ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ზაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13.02.2026 წლის №13.322604410 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. წესი არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პერიოდულობას და ხანგრძლივობას. (მე-3 მუხლი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა), საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმების შესაბამის გეგმებს. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და გრძელვადიანი (წლიური) და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმების მოთხოვნებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღში არსებობს ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ზაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13.02.2026 წლის №13.322604410 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.აღნიშნული წესის მუხლი მე-3 (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა), განსაზღვრავს გეგმების შემუშავების პროცესში თანამონაწილეობას, რომლის მიხედვითაც **გრძელვადიანი გეგმა** იქმნება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და განყოფილების მენეჯერი.ხოლო,**მოკლევადიანი გეგმა** იქმნება თითოეული ჯგუფის იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შეიქმნება შემდეგი დოკუმენტაცია: დღის განრიგი, აღმზრდელის პორტფოლიო, რომელიც მოიცავს: გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს, რეფლექსურ ჩანაწერებს; მუსიკის მასწავლებლის პორტფოლიოს რომელიც მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს, რეფლექსიურ ჩანაწერებს, სხვა საგანმანათლებლო პერსონალის-ფსიქოლოგის პორტფოლიო, რომელიც მოიცავს: ბავშვზე დაკვირვების და შეფასების ანალიზს, რეფლექსურ ჩანაწერებს, მეთოდისტიკის პორტფოლიო, რომელიც მოიცავს: საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვების ანალიზს, რეფლექსურ ჩანაწერს, გრძელვადიან გეგმას, საკომუნიკაციო გეგმას, მოკლევადიანი გეგმების მეთვალყურეობის ანალიზს; ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები, რომელიც მოიცავს: ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის შეფასების ჩანაწერებს, ბავშვის ნამუშევრებს, ბავშვის ნამუშევრის ფოტოებს, ბავშვების ფოტოებს სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს. „გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები ასახავს ჯგუფის საჭიროებებს და ინტერესებს“-ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბავშვების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბავშვისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13.02.2026 წლის №13.322604410 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. მუხლი მე-3 (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა). აღმზრდელებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ აქვთ ცოდნა ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები ასახონ გეგმებში და რეფლექსურ ჩანაწერებში. ასევე, ინდივიდუალიზაციის ჩანაწერისათვის ცალკე გრაფა არის გათვალისწინებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღში არსებობს ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13.02.2026 წლის №13.322604410 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, აღნიშნული წესის მე-4 მუხლი (გეგმებში ინდივიდუალიზაციის ასპექტი) განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალიზაცია ვლინდება ორი გზით: ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალიზაცია ვლინდება:

- 1) დაწესებულების მიერ, ასევე დაწესებულების გარეთ არსებულ სერვის პროვაიდერთან (ადრეული ინტერვენციის ცენტრის, განვითარების ცენტრის და სხვ.) მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ინდივიდუალური გეგმის შემუშავების გზით.
- 2). ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნები და მიზნების მიღწევის საშუალებები. დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმების მიხედვით, ინდივიდუალიზაციის კომპონენტი გამოიყენება ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიოს (დაკვირვება, შეფასება) საფუძველზე განსაზღვრული საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური სტრატეგიების დასაგეგმად. ასევე, ინდივიდუალიზაცია საჭიროა უფრო მეტი ბავშვისთვის, მათი ინდივიდუალური ტემპისა და თავისებურებების გასათვალისწინებლად, რაც ასახული უნდა იყოს ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების ინსტრუმენტებში (აღნიშნული შეინახება ბავშვის პორტფოლიოში), ხოლო მისაღწევი სტრატეგიები კი გაიწერება მოკლევადიანი გეგმის ინდივიდუალიზაციის გრაფაში.

აღზრდელებთან, აღზრდელის თანამშემწეებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ მათ აქვთ ცოდნა თუ რას მოიცავს ინდივიდუალიზაციის კომპონენტი, ასევე ყოველკვირეულ გეგმის ნიმუშში არის გრაფა გამოყოფილი ინდივიდუალიზაციისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13.02.2026 წლის №13.322604410 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, აღნიშნული წესის მე-3 მუხლი (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) განსაზღვრავს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმას, რომელიც მოიცავს თამაშზე ორიენტირებულ პროცესს.

აღმზრდელებთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ მათ აქვთ ცოდნა თამაშით წარმართონ რუტინული აქტივობები (ხელნაკეთი მუსიკალური სათამაშოები,მატარებლობანას თამაში,მცირე ლექსები, სიმღერები). ტრანზიციების განსახორციელებლად გამოიყენონ წარმოსახვითი და რიტმული თამაშები, სიმღერები, დასურათებული დღის განრიგი. აღმზრდელებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თამაშზე ორიენტირებული პროცესები გეგმების გარდა, ასახული იქნება მათ რეფლექსურ ჩანაწერებში, ბავშვების ობიექტური დაკვირვების ჩანაწერებში, ბავშვების ფოტოსურათებში, დღის განრიგში. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13.02.2026 წლის №13.322604410 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი,ამავე წესის მე-3 მუხლი (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) განსაზღვრავს მოკლევადიანი გეგმის ფორმას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირებას სხვადასხვა გარემოში შიდა და გარე სივრცეში, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. დაწესებულებამ წარმოადგინა დღის განრიგი, რომელიც განსხვავებულია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ **ჯგუფური ოთახები** დაყოფილია ცენტრებად/სივრცეებად, სადაც ბავშვებს ექნებათ სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის შესაძლებლობა როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. ეზოში არის განთავსებული ეზოს სკამები, სასრილო, საქანელა, ბალანსის აღჭურვილობა, ხელნაკეთი გასაძრომი მოწყობილობები, კურიკულუმით გათვალისწინებული ცენტრებიდან მოწყობილია სენსორული სივრცე. ეზოში არ არის ასაძრომი, გასაძრომი და საცოცი მოწყობილობები, არ არის სახლი განმარტოებიათვის, საქვიშე, ეზოში არ არის მზისგან და წვიმისგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი, დაწესებულებას არ აქვს კურიკულუმით გათვალისწინებული სივრცეები მოწყობილი გარე სივრცეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს: მზისგან და წვიმისგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელს, საძრომ/საცოცი საშუალებების გამოყოფა და ფიზიკური თამაშებისათვის სივრცის კეთილმოწყობა. ასევე საქვიშეების მოწყობა მზისგან და დამცავი საჩრდილობელით. კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო სივრცეების მოწყობა გარე სივრცეში.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს 4.3 და 2.2.1.6 ინდიკატორებისათვის დასაკმაყოფილებლად საჭირო აქტივობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები, (გაერთიანების უფროსი,

შესყიდვების კოორდინატორი) საჭირო რესურსები და შესასრულებლად გაწერილი აქვს გონივრული ვადა 12 თვე. შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შეესაბამება.

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13.02.2026 წლის №13.322604410 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, აღნიშნული წესის მე-5 მუხლში (საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსის განსაზღვრის) ნაწილში იკითხება „დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს, „რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს, რესურსების შერჩევისას დაწესებულება ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს, ასევე ეფუძნება ბავშვის ჰოლისტიური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს“.

ამავე წესის მე-6 მუხლის მიხედვით, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით.

საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით: მექანიზმში გაწერილი პროცესი უზრუნველყოფს რესურსების მიწოდებას შეუფერხებლად, რაც ვლინდება თავად მექანიზმში, სადაც აღწერილია თუ როგორ ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება (ჩანაწერი - „ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს“, „ბავშვის ჰოლისტიური განვითარებისათვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს“); როგორ ხდება მათზე რეაგირება („მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება ბრძანებით“); განსაზღვრულია, თუ რა პერიოდულობით ხდება რესურსების განახლება (საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით). დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პერსონალისა და ხელმძღვანელის განმარტებით, მოქმედებს მექანიზმის შესაბამისად.

ინტერვიუს დროს გამოვლინდა რომ, საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პერსონალისა და ხელმძღვანელის განმარტებით, იმოქმედებს მექანიზმის შესაბამისად. ინტერვიუში, აღმზრდელები აღნიშნავენ, რომ წლის დასაწყისში სხვა საგანმანათლებლო პერსონალთან ერთად განსაზღვრავენ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხას, აღნიშნულის შესახებ კი ინფორმაციას მიაწვდიან დირექტორს, რომელიც თავის მხრივ წარუდგენს ნუსხას დაწესებულების ხელმძღვანელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13.02.2026 წლის №13.322604410 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, აღნიშნული წესის მე-5 მუხლის თანახმად, გაერთიანება ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროცესში რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფას სხვადასხვა გზებით (დონაცია, მეორადი რესურსების შეგროვება, დამზადება და შესყიდვა). ამავე მექანიზმის მე-6 მუხლის მიხედვით დაწესებულებას გაწერილი აქვს რესურსების საჭიროების განსაზღვრის, მათი შესყიდვის და მიწოდების სქემა.

სააღმზრდელო პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პერიოდულად ჯგუფისა და ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ხდება რესურსების დამატებითი მოთხოვნა, აღმზრდელი მოკლე ჩანაწერის სახით რესურსების ჩამონათვალს მიაწვდის დირექტორს, დირექტორი რესურსების ჩამონათვალს გააცნობს გაერთიანებას .. ამ წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით კი დაწესებულებას უნდა ჰქონდეს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა რომელიც მტკიცდება ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის ბრძანებით, რაც ვერ იქნა წარმოდგენილი, რის გარეშეც ვერ დადგინდება რესურსების კურიკულუმთან შესაბამისობა, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის ბაღმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: დაწესებულებამ შექმნას საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ნუსხა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რომელიც ასახავს როგორც რესურსის სახეობებს, ასევე რაოდენობრივ მინიმუმს თითოეულ ბავშვზე. აღნიშნული ნუსხა დამტკიცდეს ადმინისტრაციული აქტით (ბრძანება) და გახდეს დაწესებულების პრაქტიკის ნაწილი.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს 2.2.2.2 ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად საჭირო აქტივობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები, (გაერთიანების უფროსი, გაერთიანების მეთოდისტი) საჭირო რესურსები და შესასრულებლად გაწერილი აქვს გონივრული ვადა 8 თვე. შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შეესაბამება.

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღში არსებობს ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13/02/2026 წლის №13.32260445 ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ. ბრძანების მიხედვით დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“. აღნიშნული კურიკულუმები განსაზღვრავენ ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: ფიზიკური გარემო უნდა იყოს სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილი, მყუდროდ მოწყობილი ოთახი, საბავშვო ზომის ავეჯითა და ნეიტრალური ფერის კედლებით. ფიზიკური გარემო უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ პასუხობდეს კურიკულუმის მიზნებს, ბავშვის განვითარების სტანდარტსა და პროგრამის ხარისხის სტანდარტს, სივრცე უნდა იყოს მორგებული ბავშვთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე, უზრუნველყოფდეს თავისუფალ, ინიციატივაზე დაფუძნებულ თამაშსა და მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობას როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში. კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს ოთახის ფიზიკურ მახასიათებლებს - განათება, სივრცის ზომა, უსაფრთხოება.

ბაღში ვიზიტისას,ვიზუალური დათვალეირებით დადგინდა, რომ **ჯგუფის ოთახი** დაყოფილია ცენტრებად და სივრცეებად (შეხვედრების სივრცე; კუბურების/კონსტრუქციის ცენტრი; წიგნიერების ცენტრი; სამაგიდო თამაშების ცენტრი; ხელოვნების ცენტრი; დრამის ცენტრი; სენსორული ცენტრი; მეცნიერების ცენტრი. ოთახები არის მყუდრო და ნათელი.სივრცე აღჭურვილია როგორც მზა, ასევე ბუნებრივი და მეორადი მასალით. ჯგუფში ავეჯი/კარადები არის ბავშვის სიმაღლის.ბაღის შეონობაში არის დარბაზი, სადაც ძლიერი უამინდობის შემთვევაში ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ფიზიკური აქტივობისთვის: დარბაზში არის თავისუფლად სარბენი სივრცე,შვედური კედელი, პიანინო, ხელნაკეთი ინსტრუმენტები.

ბაღის **გარე სივრცის/ეზოს მოწყობა** ვლინდება შემდეგში:ეზოში არის განთავსებული ეზოს სკამები, სასრილო, საქანელა, ბალანსის აღჭურვილობა, ხელნაკეთი გასაძრომი მოწყობილობები,კურიკულუმით გათვალისწინებული ცენტრებიდან მოწყობილია სენსორული სივრცე.ეზოში არ არის ასაძრომი,გასაძრომი და საცოცი მოწყობილობები,არ არის სახლი განმარტოებისათვის,საქვიშე,ეზოში არ არის მზისგან და წვიმისგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი, დაწესებულებას არ აქვს კურიკულუმით გათვალისწინებული სივრცეები მოწყობილი გარე სივრცეში(სივრცე დრამატული თამაშებისათვის,საქვიშე,სახლი/ქოხი განმარტოებისათვის,ხელოვნების სივრცე). აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით, ეზოს მოწყობა უნდა განხორციელდეს შერჩეული კურიკულუმის პრინციპების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო და სათამაშო ცენტრების ორგანიზებას გარე სივრცეში,შესაბამისი რესურსის აღჭურვით.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს 4.3 და 2.2.3.1 ინდიკატორებისათვის დასაკმაყოფილებლად საჭირო აქტივობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები,(გაერთიანების უფროსი, შესყიდვების კოორდინატორი) საჭირო რესურსები და შესასრულებლად გაწერილი აქვს გონივრული ვადა 12 თვე. შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ აღნიშნული კურიკულუმები განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავლგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებული მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახუროდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

ვიზუალური დათვლიერებით დადგინდა: ჯგუფურ ოთახებში წარმოდგენილია მზა, მეორადი და ბუნებრივი რესურსი, რომლებიც თემატურად არის ცენტრებში განაწილებული. რესურსი განლაგებულია ღიად და ბავშვების სიმაღლეზე, ვიზუალური მინიშნებები არის ბავშვების სიმაღლეზე. დაწესებულებაში არის ხელნაკეთი რესურსი. გამოყოფილია ადგილი, სადაც განთავსდება ბავშვების ნამუშევრები, რესურსი განთავსებულია ღია თაროებზე, სათავსებში, ვიზუალური მინიშნებებით. დაწესებულებაში არის დარბაზი.

გარე სივრცეები არ არის სრულად აღჭურვილი კურიკულუმის შესაბამისი რესურსით; ეზოში მოწყობილია სენსორული სივრცე, შესაბამისი რესურსით, თუმცა რესურსი მწირია. ეზოში არ არის საქვიშე, დრამატული თამაშებისთვის სივრცე, ქოხი/კარავი განმარტოებისთვის, სახელოსნოს სივრცე, აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით, ბაღმა უნდა უზრუნველყოს ეზოს რესურსებით აღჭურვა შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბავშვთა მრავალმხრივი განვითარება.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს 4.3 და 2.2.3.2 ინდიკატორებისათვის დასაკმაყოფილებლად საჭირო აქტივობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები, (გაერთიანების უფროსი, შესყიდვების კოორდინატორი) საჭირო რესურსები და შესასრულებლად გაწერილი აქვს გონივრული ვადა 12 თვე. შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შეესაბამება.

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ზავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერებით, ჯგუფურ ოთახებში ზავშვებს აქვთ აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება, ჯგუფის ოთახები დაყოფილია ცენტრებად/სივრცეებად. ცენტრებში/სივრცეებში ზავშვებს შეუძლიათ ითამაშონ პასიური თამაშები (ხელოვნების ცენტრი, სამაგიდო ცენტრი, წიგნიერების ცენტრი); ასევე შეუძლიათ ჩაერთონ აქტიურ თამაშებში (დრამის და კუბურების/კონსტრუქციის ცენტრი). ცენტრებში/სივრცეებში შეუძლიათ ითამაშონ მცირე ჯგუფებად. ჯგუფების ფართი იძლევა საშუალებას ჩაერთონ დიდ ჯგუფურ აქტივობებში. აქვთ დასვენების შესაძლებლობა, მოწყობილია საძინებელი, ზავშვებს ასევე აქვთ განმარტოების შესაძლებლობა, რისთვისაც ჯგუფებში მოწყობილია წყნარი სივრცეები. ჯგუფის ოთახში ზავშვის სიმაღლის გათვალისწინებით კედელზე მოთავსებულია ვიზუალური დღის განრიგი. ცენტრებს აქვთ ვიზუალური მინიშნებები. ასევე კონტეინერში მოთავსებულ რესურსებს აქვს წარწერები, სივრცე აღჭურვილია მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსით, მათ შორის ბუნებრივი და მეორადი მასალით. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ზავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ზავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13.02.2026 წლის №13.322604410 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, აღნიშნული წესის მე-8 მუხლის (ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები) მიხედვით, დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, კერძოდ:

- ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;
- ბ) მოკლე კითხვარები;
- გ) ჩექლისტები; დ) ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები. ამავე მუხლის(8). მე-3 პუნქტის მიხედვით შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით.

დანართის სახით წარმოდგენილია „ბავშვის შეფასების ფორმა“(რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების სფეროებს); ასევე ჩექლისტი, წესის თანახმად, „ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული, უწყვეტი პროცესია“, ხოლო „ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში სამჯერ“. ასევე მითითებულია, რომ „ბავშვზე დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი. დირექტორის ცალკეული ბრძანება აღნიშნული ფორმების დამტკიცებაზე ვერ იქნა მოძიებული.

საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუს დროს ადასტურებს ინფორმირებულობას და ასახელებს დაკვირვების ზემოაღნიშნულ მეთოდებს. აღმზრდელი აფიქსირებენ, რომ ობიექტური დაკვირვება, ბავშვების შესახებ ახალი, საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტების დანახვა, დოკუმენტირება (ჩაწერა) და შემდგომი ანალიზი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის საფუძველია. ასევე ხელთ აქვთ ასაკობრივი შეფასების ფორმა განვითარების სფეროების მიხედვით, რომლებიც შედგენილია სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში აღნიშნულია, რომ ბავშვის შეფასება მოხდება წელიწადში სამჯერ, ინტერვიუს საფუძველზე საგანმანათლებლო პერსონალი აღნიშნავს რომ ბავშვის შეფასებას განახორციელებს წელიწადში ორჯერ. უმჯობესია შეთანხმების საფუძველზე დადგინდეს ბავშვის შეფასების რაოდენობა წლის განმავლობაში.



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13.02.2026 წლის Nზ13.322604410 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მრავალფეროვან მეთოდებს: მუხლი 8 (ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები) იკითხება: „ დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვების და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში. აღმზრდელებთან ინტერვიუს გზით დასტურდება, რომ თითოეული ბავშვზე დაკვირვება და შეფასება ასევე ემსახურება ბავშვების ინტერესების გამოვლენას, რასაც შემდგომში გაითვალისწინებენ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13.02.2026 წლის №13.322604410 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

- ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
- ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუში ვლინდება, რომ შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია და ანალიზი გათვალისწინებული იქნება დაგეგმვის ნაწილსა და რესურსების განსაზღვრის დროს. აგრეთვე, შეფასებით მიღებული შედეგები დაეხმარება აღმზრდელებს გაანალიზონ საკუთარი პრაქტიკა, და გააუმჯობესოს იგი, მოარგონ საგანმანათლებლო პროცესი თითოეულ ბავშვს. შეფასება, როგორც რეფლექსიის საფუძველი, ხელს შეუწყობს მას განსაზღვროს, რამდენად ეფექტიანად ახერხებს ბავშვების ჩართულობის, ინტერესების წახალისებისა და პროგრესის ხელშეწყობას, და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ ყოველდღიურ პრაქტიკაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13.02.2026 წლის №13.322604410 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, მუხლი 9 (ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა) არეგულირებს ბავშვის შეფასების პროცესში ოჯახის ჩართულობას. აღნიშნულ მუხლში ვკითხულობთ: „დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას, ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად“. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს „ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში“-ვკითხულობთ აღნიშნული წესის მე-8 მუხლში (ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“;
2. ბრძანება №13.322604410 თარიღი: 13/02/2026 ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:



2.2. კურიკულუმის განხორციელება

შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>
--------------------------------------	--	---	---

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“. ამ წესის მუხლი 4 „კურიკულუმის შეფასება და განვითარება“არეგულირებს კურიკულუმის შეფასებას და განვითარებას. აღნიშნული წესის შესაბამისად კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება: ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას; ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას; გ) მშობლების უკუკავშირს; დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას.ე)სხვა. კურიკულუმის შეფასებისთვის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი/კურიკულუმის შეფასებას ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.(ასეთი ბრძანება ჯერ არ ასებობს). დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის შეფასება ხორციელდება 6 თვეში ერთხელ. ფიზიკური გარემოს შეფასებისათვის დაწესებულება იყენებს მზა სახის შეფასების ინსტრუმენტს, ცხრილებს/ რუბრიკებს .დოკუმენტი მოიცავს: საგანმანათლებლო გარემოს, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს,სოციალურ-ემოციურ მხარდაჭერას,,პროფესიულ დოკუმენტაციას და განვითარების,შეფასების შეჯამებს. აღნიშნული რეგულაციის არსებობა მიუთითებს, რომ დაწესებულება შემუშავებული სისტემის შესაბამისად გეგმავს კურიკულუმის შეფასების ციკლურ, სისტემატურ მოდელს, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 30.12.2025 წლის №13.3225365001-3 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი. ამ წესის მუხლი 5 (კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება) არეგულირებს კურიკულუმის შეფასების საფუძველზე, გაკეთებული მიგნებების და რეკომენდაციების მიხედვით კურიკულუმში ცვლილებების შეტანის საკითხს, კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შეიძლება იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი. ამ დროისათვის წესის დამტკიცებიდან არ არის გასული შესაბამისი პერიოდი, რაც შესაძლებლობას მისცემდა ბაღს განხორციელებინათ ცვლილებები კურიკულუმში. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „კურიკულუმის შერჩევის გაზიარების, შეფასებისა და განვითარების წესი“;
2. ბრძანება №13.3225365001-3 თარიღი: 30/12/2025 ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების ბრძანება კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის შესახებ;

შეფასება:

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>
---	---	---	---

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13/02/2026 წლის №13.322604415 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სამიზნე აუდიტორიის შერჩევას. სამიზნე აუდიტორია შედგება შიდა და გარე აუდიტორიად, შიდა აუდიტორიას განეკუთვნება: დაწესებულებათა გაერთიანების ადმინისტრაცია, დამხმარე პერსონალი. გარე აუდიტორიას განეკუთვნება: მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სფეროში მოღვაწე კოლეგები, დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლები.

აღნიშნული ბრძანების დანართის სახით წარმოდგენილია „ ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმა“. გეგმაში გაწერილია მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან განსახორციელებელი დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილია ასევე თემთან თანამშრომლობისთვის დაგეგმილი აქტივობები. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს „ ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმა“. არ აქვს იდენტიფიცირება კონკრეტული ბაღის ნომრის მითითებით ან სოფლის დასახელებით, განისაზღვროს დოკუმენტის სახელდების შესაბამისი აღნიშვნა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ13/02/2026წლის №13.322604415ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა.საკომუნიკაციო გეგმაში“ იკითხება მშობელთა ჩართულობით ვორქშოფების,სხვადასხვა დღესასწაულების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა, რაც არის წახალისების ფორმა. დაწესებულების სააღმზრდელო პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება წახალისებს თემის მშობლების/კანონიერ წარმომადგენლებს სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობით, მეორადი რესურსის შეგროვების, ღონისძიებების ორგანიზების პროცესში, რაც დასტურდება ფოტო მასალით.

დაწესებულების მენეჯერთან, მეთოდისტთან და აღმზრდელებთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ აქვთ ცოდნა თემისა და მშობლების წახალისების მიზნით გამოიყენონ წინასწარ მათი ინფორმირება ღონისძიებაში ჩართვასთან დაკავშირებით, ასევე გამოიყენონ სიტყვიერი წახალისების ფორმები (მადლობის ფორმა)

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....



3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13/02/2026 წლის №13.322604415 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის მუხლი 4 „საკომუნიკაციო არხების შერჩევა“, არეგულირებს მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენებას, როგორცაა: პირისპირ შეხვედრები; საინფორმაციო დაფები; მოკლე ტექსტური შეტყობინება/სატელეფონო ზარი; სოციალური მედიის დახურული ჯგუფები,სამიზნე აუდიტორიისაგან უკუკავშირის მიღება.ინტერვიუს საფუძველზე ნათლად ჩანს რომ, შერჩეულ საკომუნიკაციო არხებს დაწესებულება გამოიყენებს ოჯახთან და ასევე თემთან ურთიერთობისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13/02/2026 წლის №13.322604415 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა
2. გასაუბრების შედეგები(ინტერვიუება);
3. სოციალური გვერდი (facebook პოსტი).
4. მშობელთა კუთხის ფოტო



5. ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმა“

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 30/12/2025წლის №13.3225365001-5 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო წესის შედგენის წესი .აღნიშნული წესის საფუძველზე შექმნილი ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმა“

სადაც იკითხება მშობლებთან რეგულარული კომუნიკაცია მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით: „სახლიდან ბაღში, ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის გამარტივების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების შესახებ შეხვედრა მშობლებთან,თემატური ვორქშოპი (მაგ. „პოზიტიური აღზრდა“)პრაქტიკული რჩევები ბავშვის ქცევის მართვისა და ემოციური მხარდაჭერის შესახებ,ბავშვთა უფლებების გაცნობა, აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.ინტერვიუს გზით დადასტურდა, რომ აღმზრდელებს აქვთ ცოდნა მშობლებს გააცნონ და იზრუნონ მათთვის ცნობიერების ამაღლებაზე, ისეთი თემების შესახებ,როგორცაა: ბავშვთა უფლებების შესახებ, ასაკობრივი თავისებურებების და განვითარების სპეციფიკის შესახებ,ასევე ბავშვთა შემეცნებითი უნარების განვითარების,სოციალურ-ემოციური განვითარების,ენობრივი განვითარების,მშობლის როლის ბავშვის ბაღთან ადაპტაციის შესახებ,დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესების,თამაშის როლის სწავლისა

და განვითარების პროცესში ,ჰიგიენური ჩვევების ჩამოყალიბება ადრეულ ასაკში და ა.შ.(აღმზრდელებს აქვთ დასახელებული თემების შესახებ მომზადებული თეორიული მასალის დოკუმენტები და გააცნობენ აღსაზრდელთა მშობლებს)
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)-ს საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13.02.2026 წლის №13.322604410 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, აღნიშნული წესის თანახმად: მუხლი 9 .მშობელთა /კანონიერი წარმომადგენელთა ინფორმირებულობას ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ განსაზღვრავს (ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა) აღნიშნული წესის შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას, ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ხორციელდება ინდივიდუალურად.დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში, ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი ოჯახის ჩართულობით.

საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუში აღნიშნავს რომ ,ბავშვის შეფასების პერიოდულობა დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია- წელიწადში სამჯერ და შესაბამისად მშობლებისთვის ბავშვის შეფასების შედეგების გაცნობა უნდა განხორციელდეს იმავე პერიოდულობით.

ადგილზე ვიზიტისას მეთოდისტთან და აღმზრდელთან გასაუბრებისას, ასევე მტკიცებულებად წარმოდგენილი ფოტო მასალით გამოვლინდა, რომ ბავშვის შეფასებისა და შედეგების გაცნობის მიზნით, საგანმანათლებლო პერსონალი გარკვეული პერიოდულობით ინდივიდუალურად ხვდებიან მშობლებს. აცნობენ მიღწეულ შედეგებს, ხელს უწყობენ მშობელთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმა“

სადაც იკითხება რომ დაწესებულებას დაგეგმილი აქვს გასვლითი აქტივობები,თემში არსებული ბიბლიოთეკის/ სკოლის და კულტურის ცენტრის მონახულება. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....



4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საკომუნიკაციო წესის შედგენის წესი. აღნიშნული წესის მუხლი-6 (განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა) განსაზღვრავს შემდეგს: კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად, დაწესებულება იყენებს შემდეგ მექანიზმებს ღია შეხვედრებს და კითხვარებს, დისტანციურ შეხვედრებს ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით. მეთოდისტან და აღმზრდელებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა რომ, ოჯახთან და თემთან განხორციელებულ აქტივობებს ისინი შეაფასებენ შედგენილი კითხვარით, ასევე რეგულაციურ ჩანაწერებში ასახავენ განხორციელებული აქტივობების შესახებ და შედეგების გათვალისწინებით მოახდენენ შესაბამის ცვლილებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბავშვების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) საბავშვო ბავშვებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ 13/02/2026 წლის №13.322604415 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა
2. გასაუბრების შედეგები (ინტერვიუება);
3. ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბავშვების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმა“

შეფასება:

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>
---	---	---	---

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოდგინა ორგანიზაციის სტრუქტურა გრაფიკული ფორმით-ორგანოგრამა და ა (ა) იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის ბ13. 3226044001-ით დამტკიცებული საშტატო განრიგი. აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ბაღის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ პოზიციებს: ბაღის მენეჯერი-1; აღმზრდელი-4; აღმზრდელის თანაშემწე-4; ძიძა-4, მუსიკის მასწავლებელი-1; ექთანი-1; მეთოდისტი-1; ფსიქოლოგი-1, მზარეული-1; მზარეულის დამხმარე-1; დამლაგებელი-2; მრეცხავი-1; დარაჯი-1; მომარაგებელი-1.

ვიზიტის დროს ბაღში დასაქმებული იყო 24 თანამშრომელი. საშტატო ნუსხით პოზიციაზე დასაქმებულ პირთა რაოდენობა აკმაყოფილებს, **ბაღში** მიმდინარე ყველა პროცესების შესრულებას.

ა (ა) იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის ბ13-32232652 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები“ განსაზღვრავს დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა ფუნქციებს, მოვალეობებს, ანგარიშვალდებულებისა და დაქვემდებარების სისტემას. ურთიერთჩანაცვლების საკითხები ჩანს მხოლოდ ძიძის ფუნქცია-მოვალეობებში. ურთიერთჩანაცვლება აუცილებელია პროცესების უწყვეტად მიმდინარეობისთვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბაღის დაკომპლექტებისას გათვალისწინებულია ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, თუმცა დაწესებულების მდგრადი ფუნქციონირებისთვის და პროცესების უწყვეტობისთვის არც ერთ დოკუმენტში არ იკითხება ურთიერთჩანაცვლების საკითხები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურსულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).



რეკომენდაცია

მდგრადი ფუნქციონერებისა და პროცესების უწყვეტობისთვის უნდა განისაზღვროს პოზიციაზე დასაქმებული პირების ურთიერთჩანაცვლების საკითხები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (კვალიფიკაციის მიხედვით პერსონალის აღრიცხვა/დაჯგუფება. ცვლილების შეტანა შინაგანაწესში, სადაც განსაზღვრული იქნება პერსონალის ჩანაცვლების საკითხი), პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების უფროსი, გაერთიანების იურისტი), საჭირო რესურსი (ადამიანური) და ხარვეზის გამოსწორების პერიოდის (4 თვე). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის ბ13-32232652 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები“ და **საიმერლოს** საბავშვო ბაღის ორგანოგრამა განსაზღვრავს დაწესებულების იერარქიულ სტრუქტურას და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას, რაც გულისხმობს თითოეული პოზიციის შესასრულებელი სამუშაოს და პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულების და დაქვემდებარების სისტემას. ადგილზე ვიზიტის დროს, ბაღმა წარმოადგინა თითოეული თანამშრომლისთვის ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის დამატასტურებელი ხელმოწერილი დოკუმენტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 დეკემბრის N59 დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურეობის მიმწოდებელი ან/ და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიულ სტანდარტს. დოკუმენტი მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა აღნიშნული არის ზოგადი ნორმები და არა ბაღში დასაქმებული კონკრეტული პოზიციისთვის განსაზღვრული. მაგალითად, განსაზღვრულია აღზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, რომელის სახელმწიფოს მიერ ისედაც დადგენილია, ამავდროულად დაწესებულებას ასეთი პოზიცია არ გააჩნია. ასევე, ბავშვთა ინკლუზიური მხარდაჭერი პერსონალის პროფესიული სტანდარტი და არ არის დაკონკრეტებული კონკრეტული პოზიცია-სპეც. მასწავლებლი, ასისტენტი თუ სხვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არა არის დადგენილი თითოეული პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც აფერხებს დადგენას რამდენად შეესაბამება დასაქმებულის კვალიფიკაცია განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ბაღში დასაქმებული თითოეული პოზიციისთვის განისაზღვროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

.....
.....
რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის (1. გამოსწორებას(კონსულტაციის გავლა დამფუძნებელთან. 2. დოკუმენტის მომზადება. 3. დადგენილებებში ცვლილებების შეტანა კონკრეტიაციის გზით/ახალი დოკუმენტების მომზადება-დამტკიცება), პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების უფროსი, გაერთიანების იურისტი), საჭირო რესურსი (ადამიანური) და ხარვეზის გამოსწორების პერიოდის (4 თვე). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამ ეტაპზე, საიმერლოს საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალი არ არის გადამზადებული პირველადი დახმარების აღმოჩენის მიმართულებით. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით ხარვეზის გამოსწორების პერიოდად განსაზღვრულია 2028 წლის თებერვალი.

აღნიშულიდან გამომდინარე,ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

.....
.....

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2028 წლის თებერვლამდე, ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის მიმართულებით, რაც დადასტურდება შესაბამისი სერთიფიკატით.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....



4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბ13-322604411 ბრძანებით დამტკიცებული, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ და ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის ბ13-3223265001 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი, არეგულირებს დაწესებულებაში პერსონალის მართვის წესებსა და პირობებს.

პერსონალის მართვის წესი ადგენს ადამიანური რესურსების მართვის ციკლს: დაგეგმვა/ორგანიზაციაში შესვლა/სამუშაოს მართვა/ორგანიზაციიდან გასვლა. განსაზღვრავს დაწესებულების სტრუქტურას: დასაქმებულთა იერარქიას, პირებს, დაქვემდებარებასა, ანგარიშვალდებულებას, კავშირებს; პერსონალის მოზიდვის და შერჩევის წესებს; ახალი თანამშრომლის ინტეგრაციისა და პერსონალის პრფესიული განვითარების საკითხებს.

შინაგანაწესით რეგულირდება დაწესებულებაში დასაქმებული პირების ზოგად შრომითი ურთიერთობები, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების წესები.

პირადი საქმეების შესწავლით და ინტერვიუთი დგინდება, რომ დაწესებულებაში პერსონალის აყვანა ხდება პერსონალის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, პირდაპირი დანიშვნის გზით, რაზეც დაწესებულების დირექტორი გამოსცემს ბრძანებას. დაწესებულება დასაქმებულთან არ აფორმებს შრომით ხელშეკრულებს. რაც ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლს (შრომითი ხელშეკრულება), რომლის თანახმად შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. მხოლოდ დანიშვნის აქტი, არ არის საკმარისი, რამდენადაც იგი წარმოადგენს დამსაქმებლის ცალმხრივი გადაწყვეტილებას. დაწესებულებას აქვს შინაგანაწესი, რომლის არეგულირებს შრომითი ურთიერთობის ზოგად პირობებს, წარმოდგენილია შინაგანაწესის გაცნობის ხელმოწერილი მასალები, ასევე წარმოდგენილია თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის დამადასტურებელი ხელმოწერებიც, თუმცა, შინაგანაწესის ზოგადი წესებია, ყველა თანამშრომლისთვის, ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის ხელმოწერები კი ინფორმირების დადასტურება. არცერთი მათგანი არ წარმოადგენს ორმხრივ შეთანხმებას კონკრეტულ პირობებზე, რასაც ითხოვს საქართველოს შრომის კოდექსი.



აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს საქართველოს შრომის კოდექსის რეგულაციების გათვალისწინება და დასაქმებულთან გააფორმოს შრომით ხელშეკრულებები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის (1. ხელშეკრულებების მომზადება. 2. გაფორმება შესაბამის პირებთან. 3. 2026 წლის სექტემბრისთვის დასრულდება პრიორიტეტულ კადრებთან ხელშეკრულებების დადება - აღმზრდელი), პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების უფროსი, გაერთიანების იურისტი), საჭირო რესურსი (ადამიანური) და ხარვეზის გამოსწორების პერიოდის (12 თვე). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

2.აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღის თანამშრომლებთან, მათ შორის არც აღმზრდელებთან არ არის გაფორმებული შრომით ხელშეკრულებები, შესაბამისად არ არის გაწერილი ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები და მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობები. თუმცა წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ დაწესებულება 2028 წლის თებერვლამდე უზრუნველყოფს შესაბამისი ხელშეკრულების მომზადებას, რისთვისაც განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირი და ფინანსური რესურსები **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში, 2028 წლის თებერვლამდე, აღმზრდელებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების ასახვა და ასევე განისაზღვროს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები.

რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3.პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები განსაზღვრულია ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბ13-322604411 ბრძანებით დამტკიცებული,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით“. პერსონალის მართვის წესი განსაზღვრავს ვაკანტურ პოზიციაზე შერჩევის გზებს. კერძოდ კონკურსის ჩატარებით (ღია/დახურული) და პირდაპირი დანიშვნით. როგორც ინტერვიუთი გამოიკვეთა დაწესებულებასი პერსონალის შერჩევა განხორციელდა პირდაპირი დანიშვნის გზით. მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს პირდაპირი დანიშვნის ეტაპებს, დაწესებულება ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ დადგენილ სამუშაო აღწერილობებს. პირდაპირი დანიშვნის გზით ვაკანტური პოზიციის დაკავებამდე, კანდიდატთან ტარდება გასაუბრება. პერსონალის მარეგულირებელის წესი ადგენ გარკვეულ შეზღუდვებს დაწესებულებაში დასაქმების მსურველებზე. კერძოდ, საქართველოს კანონის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ გათვალისწინებით დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმედესსქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა.

პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა ხდება პირდაპირი დანიშვნის გზით და პოზიციაზე ინიშნება შესაბამისი აქტის საფუძველზე. წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



.....
.....
რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის წესი განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის, სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმებს. კერძოდ, ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა, ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან, საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა; ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთოხების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება.

პირადი საქმეების შესწავლით ირკვევა, რომ ყველა თანამშრომლის პირად საქმეშია განთავსებული შინაგანაწესის გაცნობის ხელმოწერილი ფორმა და პოზიციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის ფაქტი დადასტურებული ხელმოწერით. საიმერლოს საბავშვო ბაღის მეთოდისტმა წარმოადგინა ახალი თანამშრომლის მხარდამჭერი ღონისძიებების ჩამონათვალი, საიდანც ჩანს, რომ ახალი თანამშრომლის ადაპტაციისთვის შემუშავებულია სამთვიანი მხარდამჭერი პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ ხდება ადაპტაციის პროცესის შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.....
.....
რეკომენდაცია



რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ორგანიზაციული კულტურის პრინციპები განსაზღვრული აქვს ღირებულებებით. კერძოდ დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია თანასწორუფლებიანობის, გუნდურობის, გამჭვირვალობის, თანამშრომლობის და უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვის პრინციპზე. აღნიშნული პრინციპებზე დაფუძნებული მუშაობა გამოჩნდა პერსონალთან ინტერვიუს დროს, განსაკუთრებით საგანმანათლებლო პერსონალის. გუნდურობის და თანამშრომლობის შედეგია კურიკულუმის შერჩევა, გრძლევადიანი თუ მოკლევადიანი გეგმებზე შემუშავება. გუნდური მუშაობის დამსახურებაა ბაღში მოწყობილი ჯგუფური ოთახების აღჭურვა მრავალფეროვანი რესურსებით. ასევე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში წარმატებული მონაწილეობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.....
.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი ადგენს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროფესიული საჭიროებათა მოკვლევის საკითხებს. დოკუმენტი განსაზღვრავს შეფასების პროცესში მონაწილე მხარეებს, შეფასების ასპექტებს, საჭიროებათა მოკვლევის მეთოდებს და ეტაპებს. დოკუმენტის თანახმად შეფასებას ექვემდებარება დაწესებულების ყველა თანამშრომელი, გარდაიმ პირებისა, რომლებიც დასაქმებულნი არიან კონკრეტულ პოზიციებზე 6 თვის განმავლობაში. დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის მეთოდებს: თვითშეფასება, კითხვარები, მართვა მიზნების მიხედვით და ხელმძღვანელის უშუალო შეფასება. თუმცა არ ჩანს რა პერიოდულობით ხდება პერსონალის შეფასება და ვინ არის შემფასებელი. არ არის წარმოდგენილი პერსონალის შეფასების ინსტრუმენტები. პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები ძირითადად ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად განხორციელდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საიმერლოს საბავშვო ბაღის მეთოდისტს შემუშავებული აქვს ჩეკლისტი კურიკულუმის კონტექსტში, სადაც ერთ-ერთი საკითხია საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული მხარდაჭერა, წარმოდგენილი ჩაკლისტი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საგანმანათლებლო პერსონალის სამიანობის შეფასებასა და პროფესიული საჭიროების დასადგენად. ასევე მეთოდისტის მიერ შემუშავებულ ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მხარდაჭერ აქტივობებში იკითხება ადაპტაციის შეჯამების პროცესში პროფესიული განვითარების მიმართულებით რეკომენდაციების გაცემა. თუმცა აღნიშნული ჩეკლისტები მიმართულია მხოლოდ საგანმანათლებლო პერსონალისთვის და არ ჩანს დანარჩენი სხვა პერსონალის პროფესიული საჭიროებისთვის და განვითარებისთვის რა აქტივობებს გეგმავს ბაღი. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ მათ გავლილი აქვთ სახვადასხვა მიზნობრივი კურსები და პროგრამები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის მეთოდებს, თუმცა არ არის განსაზღვრული პერსონალის სამუშაოს შეფასების პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირი. ასევე, არ არის წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები (კითხვარენი ან/ და დაკვირვების ფორმები), ბაღს შემუშავებული აქვს მხოლოდ საგანმანათლებლო პერსონალისთვის, რაც არ არის საკმარისი. პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ტრენინგები სპონტანურია და ძირითადად ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად არის განხორციელებული, თუმცა განხორციელებული ტრენინგები ემსახურება დასაქმებული პროფესიულ განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

.....
.....

რეკომენდაცია

დაწესებულებამ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში განსაზღვროს პერსონალის საქმიანობის შეფასების პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირი. შეიმუშაოს შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის კითხვარები და დაკვირვების ფორმები ბაღის ყველა პოზიციისთვის.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის (შესაბამისი პირის განსაზღვრა დირექტორის ინდ. აქტის შესაბამისად. 2. ფორმების შემუშავება და განსაზღვრა), პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების უფროსი, გაერთიანების იურისტი, მეთოდისტი), საჭირო რესურსი (ადამიანური) და ხარვეზის გამოსწორების პერიოდის (12 თვე). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-20 მუხლი განსაზღვრავს თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების მექანიზმებს. კერძოდ, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სევისებით. შესაბამისი აქტივობები გაიწერება ერთწლიან სამოქმედო ან პროფესიული განვითარების გეგმებში საჭირო ბიუჯეტის მითითებით. 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები, რომელშიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადებას ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

აღნიშულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია პროფესიული განვითარების მიმართულებით ღონისძიებები ასევე დაიგეგმოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისთვისაც.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-20 მუხლი განსაზღვრავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების ხელშეწყობის მექანიზმებს. კერძოდ, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ბაღის საგანმანათლებლო პერსონალს სურვილი აქვს აიმაღლოს პროფესიული ცოდნა სააღმზრდელო მიმართულებით. ინიციატივების გაუფერება მოხდა ზეპირსიტყვიერად, აღნიშნული მიმართულებით გაერთიანების ადმინისტრაცია ეხმარება საგანმანათლებლო პერსონალს, რისი მტკიცებულებაცაა პირად საქმეებში განთავსებული უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომების სკოლამდელ აღზრდაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა (ა) ი პ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის ბ13-32232652 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები
2. ა (ა) ი პ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბ13-322604411 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“
3. ა (ა) ი პ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის ბ13-3223265001 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი
4. ალგეთის საბავშვო ბაღის ორგანოგრამა
5. დასაქმებულის პირადი საქმეები
6. ინტერვიუს შედეგები
7. საიმერლოს საბავშვო ბაღის შესაბამისობის გეგმა
8. მეთოდისტის ჩეკლისტები
9. ახალი თანამშრომლის ადმინისტრაციული მხარდაჭერა

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ამ ეტაპზე არა აქვს შემუშავებული დოკუმენტი, სადაც იდენტიფიცირებული და აღწერილი იქნება მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს დოკუმენტი, სადაც იდენტიფიცირებული და აღწერილი იქნება მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის (დოკუმენტის შემუშავება. 2. შეთანხმება დირექტორთან. 3. დამტკიცება) პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების უფროსი, გაერთიანების იურისტი), საჭირო რესურსი (ადამიანური) და ხარვეზის გამოსწორების პერიოდის (12 თვე). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ამ ეტაპზე არა აქვს იდენტიფიცირებული და აღწერილი ბაღში მიმდინარე პროცესები, შემუშავებული არ არის ხარისხის უზრუნველყოფის წესი, სადაც განსაზღვრული იქნება ხარისხის ციკლის ეტაპები დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-გააუმჯობესე (დემინგის ციკლი) და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირი. დაწესებულების სტრუქტურაც არ მოიცავს ხარისხის მიმართულებით სტრუქტურას ან პოზიციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამშეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის წესი და განსაზღვროს ხარისხზე პასუხისმგებელი პირი.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის (1.შესაბამისი კადრის მოძიება. 2. კონკრეტული სამუშაო პრაქტიკის შემუშავება. 3. დაწესებულების სტრუქტურაში ცვლილების შეტანა). პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების უფროსი, გაერთიანების იურისტი), საჭირო რესურსი (ადამიანური) და ხარვეზის გამოსწორების პერიოდის (12 თვე). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბ13. 32260449 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პრინციპებს, ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესის ფორმებს, პერიოდულობას, ვადებს, ეტაპებს, ბავშვის ამორიცხვა, გადაყვანა და მათი განხორციელების წესებს, ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ბავშვების ჩარიცხვის წესს, სარეზერვო სიების წარმოება, პროცესების წარმართვაზე პასუხისმგებელი პირს/ორგანოს. ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელ წესს დანართების სახით ახლავს: ჩარიცხვის რეგისტრაციის (განცხადება) ფორმა,მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში. შემუშავებული წესი წარმოადგენს წინაპირობს, დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვა განხორციელდეს მისივე დადგენილი წესის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღს არა აქვს განსაზღვრული ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესი. ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბ13. 32260449 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“, განსაზღვრავს ბაღში ჩარიცხვისთვის წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს. თუმცა არც ერთი დოკუმენტით არ არის განსაზღვრული ვინ არის პასუხისმგებელი ბავშვის პირადი საქმეების წარმოებაზე და სად ინახება იგი. ასევე რა აუცილებელი დოკუმენტებს მოიცავს ბავშვის პირადი საქმეები.

ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელ წესით, ბაღში ჩარიცხვისთვის მშობელმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ✓ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება გაერთიანების დირექტორის სახელზე;
- ✓ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
- ✓ ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;
- ✓ ბავშვის ფოტოსურათი 3/4 2ც;
- ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ✓ მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი;
- ✓ კმშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე;
- ✓ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის);



- ✓ ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ✓ ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ;

რაც შეეხება პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას, რეგულირდება ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბ13-322604411 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით“

პერსონალის მართვის წესის თანახმად, დაწესებულება აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ✓ სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი;
- ✓ რეზიუმე;
- ✓ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი;
- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
- ✓ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;
- ✓ კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);
- ✓ შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი.

ბაღში ყველა დასაქმებულისთვის არსებობს პირადი საქმეები, რომლებიც ინახება გაერთიანებაში და ასევე ასლები ბაღში მენეჯერის ოთახში ღია თაროებზე. პირად საქმეების შესწავლის დგინდება, რომ დასაქმებული პირადი საქმეები მოიცავს შინაგანაწესით განსაზღვრულ დოკუმენტაციას, მათ შორის წარმოდგენილია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-181 მუხლის მიხედვით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბაღს არა აქვს ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესი, რომლის შესაბამისად მოხდება ბავშვის პირადი საქმეების წარმოება.

რეკომენდაცია

ბაღს უნდა ჰქონდეს ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესი, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფს ბავშვის პირადი საქმეების წარმოებას რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის (1. პროექტის მომზადება. 2. შეთანხმება ხელმძღვანელთან. 3. დამტკიცება. 4. შესაბამისი პირებისათვის გაცნობა). პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების უფროსი, გაერთიანების იურისტი), საჭირო რესურსი (ადამიანური) და ხარვეზის გამოსწორების პერიოდის (12 თვე). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბ13. 32260449 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“,
2. ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბ13-322604411 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით“
3. პერსონალის პირადი საქმეები
4. შშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების შაბლონი
5. ბავშვის რეგისტრაციის ფორმა
6. ინტერვიუს შედეგები

შეფასება :			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>



4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნულ კომპონენტს შესახებ ინფორმაცია წარმოადგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნულ კომპონენტს შესახებ ინფორმაცია წარმოადგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნულ კომპონენტს შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება :			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით ბაღში გამოყოფილია სამედიცინო მომსახურების ოთახი და ჰყავს ექთანი, მედდის ოთახი აღჭურვილია პირველი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით. ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის ბ13-32232652 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებით“ განსაზღვრულია ექთნის ფუნქციები და მოვალეობები. ექთანი აწარმოებს, ფუნქცია-მოვალეობებით განსაზღვრულ სამედიცინო დოკუმენტაციას. რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, შემუშავებულია თუმცა ამ ეტაპზე არ არის შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან. აღნიშნულთან მიმართებით წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად 2027 წლის თებერვლამდე დაწესებულება უზრუნველყოფს საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმებას უფლებამოსილ ორგანოსთან აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში, 2027 წლის თებერვლამდე, საგანგებო სიტუაციებისმართვის გეგმის შეთანხმებას უფლებამოსილ ორგანოსთან



.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღს არა აქვს აღრიცხული ბაღის ეზოში არსებული მცენარეები, შესაბამისად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ბაღში მცენარეების შესახებ. კერძოდ, მონაცემები მცენარის, პერსონალის/ბავშვის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების შესახებ. საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში დაწესებულებას არა აქვს შემუშავებული პრევენციული ღონისძიებები უსაფრთხოების დაცვის მიზნით. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ბაღმა წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირი და ფინანსური რესურსი, განსაზღვრულია ხარვეზის გამოსწორების პერიოდი 2027 წლის თებერვლამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

ბაღმა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2027 წლის თებერვლამდე უზრუნველყოს, ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღრიცხვა, მცენარეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება პერსონალის და ბავშვის ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის. საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში პრევენციული ღონისძიებების შემუშავება.

.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბ13. 32260449 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ განსაზღვრავს ჩარიცხვისთვის წარმოსადგენ დოკუმენტებს, რომელთა შორისაა მშობლის ნებართვა, კურიკულუმის ფარგლებში ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანის შესახებ. ადგილზე ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ მშობლის ნებართვის ფორმა, კურიკულუმის ფარგლებში ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანის შესახებ განთავსებულია მასწავლებლის პორტფოლიოებში. მოზანშეწონილია ბაღს ჰქონდეს წინასწარ შემუშავებული უსაფრთხოების წესები კურიკულუმის ფარგლებში ბავშვის ბაღის ტერიტორიიდან გაყვანისას, რომელიც ცნობილი იქნება მშობლებისთვისაც და აღნიშნული წესების დაცვით განხორციელდება ბავშვის ბაღიდან გაყვანის პროცესი, რაც იქნება წინასწარი პირობა, იმისა რომ კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ბაღის ტერიტორიიდან გაყვანა განხორციელდება უსაფრთხოდ დადგენილი წესების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ბაღის ტერიტორიიდან გაყვანა განხორციელდეს უსაფრთხოდ, წინასწარ შემუშავებული უსაფრთხოების წესების დაცვით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის (1.ტრენინგის დაგეგმვა. 2.სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება.3.შესაბამისი პირის გადამზადება). პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების უფროსი), საჭირო რესურსი (ადამიანური) და ხარვეზის გამოსწორების პერიოდის (12 თვე). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.



4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღის შენობის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ ბაღის გარემო პროგნოზირებადია. კერძოდ, განთავსებულია სხვადასხვა სახის მანიშნებლები. ჯგუფურ ოთახებში გამოკრულია საათი-დღის განრიგი, სადაც თვალსაჩინოდ, ნახატებით არის წარმოდგენილი დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. ასევე ნახატების სახით წარმოდგენილია ქცევის წესები. ყველა ოთახს აქვს თავისი მანიშნებლები. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღის პერსონლთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი იცნობენ ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებს და მზად არის გაითვალისწინონ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განხორციელების დროს. მეთოდისტმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის ფარგლებში გაიარეს ბავშვის ძირითადი უფლებების საკითხები. კერძოდ, ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელშიც გაერთიანებულია ბავშვის დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები, ბავშვთა უფლებები, სახელმწიფოსა და ინდივიდის დონეზე

ბავშვთა დაცვის საკითხების უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული ვალდებულებები. ტრენინგზე მიღებული ცოდნა გაუზიარა თანამშრომლებს. საკომუნიკაციო გეგმაში გვხვდება ბავშვთა უფლებების გაცნობის მიმართულებით აქტივობების დაგეგმვა/განხორციელების განხორციელების საკითხები, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ ბაღის საგანმანათლებლო პერსონალის იცნობს ბავშვთა უფლებებს და ამ ცოდნას უზიარებს მშობლებსაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.....
.....
რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღმა წარმოადგინა ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბ13. 322604412 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი. წესი ადგენს ბაღის როლს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში, ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების საფუძველს; ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირს და რეაგირების მექანიზმს; ნაპოვნი /მიტოვებული ბავშვის რეფერირებას; ინფორმაციის კონფიდენციალურობას და რეფერირებასთან დაკავშირებული პროცედურულ წესებს. დანართის სახით წარმოდგენილია ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი და ბავშვის პოვნის ან ბავშვის მიტოვების შეტყობინების ფორმა. დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი-ბაღის მენეჯერი. თუმცა რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს არა აქვს შესაბამისი სწავლება/გადამზადება ამ მიმართულებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის სწვალება/გადამზადება ბავშვზე ძალადობის ექვის შემთხვევაში მოქმედების, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) მიმართულებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის (1.ტრენინგის დაგეგმვა. 2.სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება.3.შესაბამისი პირის გადამზადება). პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების უფროსი), საჭირო რესურსი (ადამიანური) და ხარვეზის გამოსწორების პერიოდის (12 თვე). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბალი ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას, რაც დასტურდება ბალის საკომუნიკაციო გეგმაში, ტრანზიციის მიმართულებით გაწერილი აქტივობებით.

ვიზიტის დროს, ბალის პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულების პერსონალი იცნობს ადაპტაციის სხვადასხვა ფორმებს. კერძოდ, მცირე ტრანზიციის მიზნით ჯგუფურ ოთახებში გამოკრულია საათის ფორმის დღის განრიგი, სადაც თითოეული აქტივობება შესაბამისი მინიშნებითაა წარმოდგენილი და ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლას საგანმანათლებლო პერსონალი სიმღერით, დათვლით და ბარათების ჩვენებით ატყობინებს. ბალს განსაზღვრული აქვს დიდ ტრანზიციის ხელშეწყობის აქტივობები. კერძოდ, სასკოლო მზაობის ბავშვების სტუმრობა სკოლაში. დაწესებულება აქტიურად გამოიყენებს ეზოს აქტივობებს, რაც ხელს ვუწყობს ბავშვებს სირთულეების დაძლევაში და ადაპტაციის პროცესის მარტივად გამკლავებაში. საკომუნიკაციო გეგმა ითვალისწინებს „ ადაპტაციის შეხვედრას“, რაც გულისხმობს ბალში პირველად მოსული აღსაზრდელების მშობლებისთვის ადაპტაციის პროცესის ახსნას და რეკომენდაციების მიცემას, რაც შეამცირებს ადაპტაციის პროცესში შფოთს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღს არა აქვს შემუშავებული ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესი, სადაც განსაზღვრული იქნება ბავშვის პირად საქმეების წარმოებაზე და შენახვაზე პასუხისმგებელი პირი. ბავშვის საბავშვო ბაღში ჩარიცხვის მომენტიდან დაწესებულება ამუშავებს ბავშვის და მისი ოჯახის შესახებ პერსონალურ ინფორმაციას. კერძოდ, სარეგისტრაციო ანკეტაში ასახულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაციები, წარმოდგენილია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობა, ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა ან სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა N100; ბავშვის ფოტოსურათი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია მიეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს და საჭიროებენ დაცვის მაღალ სტანდარტს. ბავშვის რეგისტრაციის ფორმას(განცხადება) დანართის სახით აქვს მშობლის ნებართვა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე და ასევე ინფორმირებულია დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოთხოვოს მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება. როგორც ინტერვიუთი დადგინდა ბავშვის პირადი საქმეებისთვის განკუთვნილია დირექტორის ოთახი, სადაც გამოყოფილია ღია თაროები ბავშვის პირადი საქმეებისთვის და არ არის უზრუნველყოფილი მისი დაცულობა არასანქცირებული წვდომისაგან. ასევე არც ერთი თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობებში არ ჩანს ბავშვის და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე მონიტორინგის განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ბაღმა უზრუნველყოს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა. განსაზღვროს ბავშვის და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის (1. წესის შემუშავება. 2. დამტკიცება) პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების უფროსი, გაერთიანების იურისტი), საჭირო რესურსი (ადამიანური) და ხარვეზის გამოსწორების პერიოდის (12 თვე). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის ბ13-32232652 ბრძანებით დამტკიცებული -პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები
2. ა (ა) ი კ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბ13. 322604412 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვზე ძალადობის ექვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი.
- 3.ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)საბავშვო ბაღებისა და სასკოლო მზაობის ცენტრების მენეჯერის მიერ13/02/2026წლის №13.322604415ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა
- 4,დღის განრიგი
- 5საიმერლოს საბავშვო ბაღის შესაბამისობის გეგმა
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>



4.7. ფინანსური რესურსი

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღის მიერ წმოდგენილია ა (ა) ი 3 მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმა, სადაც ალგეთის საბავშვო ბაღისთვის განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები. ბაღის მენეჯერის ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ ბაღს საკუთარი ფინანსური რესურსი არ გააჩნია და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების ფინანსური უზრუნველყოფა ძირითადად ცენტრის ბიუჯეტით ხორციელდება. ბაღის მენეჯერის მოთხოვნის საფუძველზე ცენტრის ერთიანი ბიუჯეტიდან ხდება მოთხოვნილი ნივთების შეძენა, რაც დასტურდება ფილიალის დირექტორის მოთხოვნის წერილით და სათამაშოების და საკანცელარიო მასალის მიღება-ჩაბარების აქტით. სამოქმედო გეგმის შესწავლით ჩანს, რომ ალგეთის საბავშვო ბაღის იმ აქტივობებისთვის, რომელთა განხორციელება საჭიროებს ფინანსურ ხარჯებს გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის/ცენტრის ბიუჯეტი. **გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ალგეთის საბავშვო ბაღმა წარმოდგინა ა.ა.ი.პ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრის) 2026 წლის ბიუჯეტი. წარმოდგენილ დოკუმენტებით დგინდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის საჭირო რესურსების შესაძენად არ არის გამოყოფილი ცალკე პუნქტები.

ინტერვიუთი დგინდება, რომ საგანმანათლებლო-განმავითარებელი რესურსებისთვის გამოყოფილი თანხები ძირითადად გაერთიანებულია პუნქტებში ოფისის ხარჯი და საკანცელარიო საქონლის შეძენა. თუმცა ამ მუხლს არა აქვს ქვეპუნქტები, რომლებიც ნათლად მიუთითებდა ბიუჯეტიდან რა თანხაა გამოყოფილი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის საჭირო რესურსების შეძენაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რამდენდაც ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება წარმოადგენს წინაპირობას საგანმანათლებლო რესურსების შეძენისთვის და ბიუჯეტში შესაბამისი თანხა არ არის გამოყოფილი, ვერ დგინდება ერთიანი თანხის რა ნაწილის გამოყენებას შეძლებს დაწესებულება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს, საპროგნოზო ბიუჯეტის იმგვარი შემუშავება, რომ შესაძლებელი გახდეს კურიკულუმის მიზნებისთვის საგანმანათლებლო რესურსების შეძენის განსაზღვრა.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის (1. ბიუჯეტის შემუშავების მოსამზადებელ პერიოდში ინფორმაციის შეგროვება სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან წერილობითი ფორმით 2. საპროგნოზო ბიუჯეტში შესაბამისი მუხლების ქვეპუნქტებად დეტალურად ჩაშლა კურიკულუმის მიზნებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შესაძენად საჭირო სახსრები კონკრეტული დსახელებების მიხედვით) პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების უფროსი), საჭირო რესურსი (ადამიანური) და ხარვეზის გამოსწორების პერიოდის (4 თვე). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.

3. დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არა აქვს შემუშავებული ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. ცენტრის წარმომადგენლებთან კერძოდ, ბურალტერთან ინტერვიუთი დგინდება, რომ ცენტრი ყოველ წელს შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელიც ეყრდნობა წინა წლის ბიუჯეტის ანალიზს, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორს შეაქვს ცვლილება და წერილობით მიმართავს დამფუძნებელს თანხის დამატების თხოვნით. შესაძლებლობის ფარგლებში ხდება ბიუჯეტში ცვლილება და თანხის დამატება. დაზუსტებული ბიუჯეტის პროექტი წარედგინება დამფუძნებელს დასამტკიცებლად. ყოველი წლის ბოლოს დაწესებულება დამფუძნებელს გაწეული სამუშაოს შესახებ წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ასახულია დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის ანალიზი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დამკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს საკუთარი ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელი დაეფუძნება ხარისხის ციკლს და მოიცავდეს დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების ეტაპებს.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის (დაწესებულების ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის და მონიტორინგის სისტემა ეფუძნება მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ორგანოს დადგენილებებს, ბაგა-ბაღების გაერთიანების დებულებას ფაქტი ასახული იქნება შესაბამის დოკუმენტაციაში) პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების უფროსი), საჭირო რესურსი (ადამიანური) და ხარვეზის გამოსწორების პერიოდის (4თვე). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



1. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 14 თებერვლის ბრ. ბ13. 3226045001-ით დამტკიცებული 2026-2027 წ. სამოქმედო გეგმა
2. 2026 წლის ბიუჯეტი
3. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბრ. ბ13. 322604410-ით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“
4. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
4.7 ფინანსური რესურსი			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. სავალდებულო დანართის დასახელება	
ვიზიტის დღის წესრიგი	
4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
დანართის N	2. სხვა დანართის დასახელება
1	
2	



ჯგუფის თავმჯდომარე: მაკა ტუკვაძე (ხარისხის ექსპერტი)

ჯგუფის წევრი: ნინო დემურაძე (კურიკულუმის ექსპერტი).

ჯგუფის წევრი: ბესიკ მარგველაშვილი (კვების დარგში ექსპერტი)

ჯგუფის წევრი: ნათია ზაზაშვილი (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი) -

<p>უზის/გარე სივრცის ფართი</p> <p>აღშრდილი-პედაგოგის/აღშრდილის თანაფარდობა</p> <p>საბავშვო ზომის ხელსაწების რაოდენობა</p> <p>საბავშვო ზომის უნიტაზების/დაბის ქიანების რაოდენობა</p> <p>საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა</p> <p>საბავშვო ზომის მოსაძინებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა</p> <p>განამდელი სივრცე</p>	<p>☑</p>	<p>☐</p>	<p>☐</p>	<p>☑</p>	<p>დაწესებულება განსაზღვრული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის მუდმივად, რომელიც ითვლიანობს: 3-4 წევრი ითიბის რაოდენობას (4 წევრი ითიბი) უზის/ გარე სივრცის ფართის (1929.00 კვ.მ) ბავის უზის/გარე სივრცის ფართის თანაფარდობა ბავშვთა არსებულ/დაცემულ რაოდენობასთან შედარებით არსაკლებ 3 კვ.მ-ს. აღშრდილ პედაგოგების/აღშრდილების თანაფარდობა 3 დამ 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ყოველ 15 ბავშვზე განსაზღვრულია 1 აღშრდილ პედაგოგ/აღშრდილი(ბავს არ ჰყავს 2-3 წლიანები გველი) ბავს ამ უბანზე ჰყავს 4 აღშრდილი და 4აღშრდილის თანაბრად. განსაზღვრულია საბავშვო ზომის ხელსაწების რაოდენობა 1/20 ზე; (18 მათ შორის ერთი დასატარებელი) საბავშვო ზომის უნიტაზების რაოდენობა 1/15 ზე (18 ერთი დასატარებელი). საბავშვო ზომის სკამების თანაფარდობა ბავშვთა არსებულ/დაცემულ რაოდენობასთან არის 1/1 ზე (155) 3-4 წევრი ითიბი ადგია ბავშვებისთვის გათვალისწინებულია ადგილი მაგიდასთან, საბავშვო სივრცეში განთავსებული საბავშვო ზომის საწოლების თანაფარდობა ბავშვთა არსებულ რაოდენობასთან არის 1/1 ზე (20 ითიბის რაოდენობა 20 საბავშვო ზომის და ითი უნიტაზების/დასატარებელ სივრცეში განთავსებული საწოლების თანაფარდობა ბავშვთა არსებულ/დაცემულ რაოდენობასთან არის 1/1 (240) ზე.</p>		
